ხელშეკრულება N47
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ქუთაისი 05/04/2019 წელი

ერთის მხრივ, შპს „ქუთაისის N4 შერეული პოლიკლინიკის“ დირექტორი ნინო ჩალაძე (შემდგომში „შემსყიდველი“), მისამართი: ქ. ქუთაისი ნიკეას ქ. N46ბ; ს/კ 212670796; ტელ; 0431 225577 და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. “რაპაკა“-ს დირექტორი კახა გვეტაძე (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), მისამართი: ქ. ქუთაისი, წერეთლისა და ჯიბლაძის 35/2 ს/კ 412704505, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქ/პუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ჯამური ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ხელშეკრულების საგნის შესყიდვას.
1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი:

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს - დანართი N1–ში მითითებული საქონლის სახელმწიფო შესყიდვა.
2.2. კლასიფიკატორის კოდი: CPV30192155.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 15 (თხუთმეტი)ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები:

4.1. შესყიდვის ობიექტის შესყიდვა განხორციელდება 2019 წლის 05 აპრილის ჩათვლით.
4.2 საქონლის შესყიდვა შემსყიდველს შეუძლის ქ.ქუთაისი ნიკეას 1/8

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები:

5.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება ფასთა ცხრილში მითითებული ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.
5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადამხდელო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში.
5.3. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, ფაქტობრივად მოწოდებული შესყიდვის ობიექტის მიხედვით, შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ მომზადებული ორ ეგზემპლარად შედგენილი მიღება–ჩაბარების აქტით;
6.2. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის დღიდან.

7. ხარისხი და გარანტია

7.1 შესყიდვის ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.
7.3 მიწოდებული პროდუქცია უნდა იყოს რეგისტრირებული და ნებადართული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და შესყიდვის ობიექტის ხარისხის ინსპექტირება.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შემსყიდველს მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ხარისხიანი ფარმაცევტული პროდუქცია არსებული ნორმებისა და წესების დაცვით აღნიშნული ხელშეკრულების მე-4 მუხლში მითითებულ ვადაში.
ბ) უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტების, ნაკლოვანებების ან ქარხნული წუნის აღმოფხვრა და/ან შეცვლა საკუთარი ხარჯით, გონივრულ ვადაში, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს პოლიკლინიკის დირექტორის მოადგილე ბესიკ მანჯგალაძე.
9.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესყიდვის ობიექტის რაოდენობის, მიწოდების ვადებისა და ხარისხის კონტროლს.

9.3. მხარეებს ერთმანეთის მიმართ ინტერესთა კონფლიქტი არ გააჩნიათ.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხებზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

14.2. შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით.

14.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების 2 %-ის ოდენობით.

14.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

15.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.
16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 05 მაისის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.
17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება - „შემსყიდველთან", ხოლო ერთი- „მიმწოდებელთან"

18. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

19. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

20. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი **შპს ქუთაისის N4 შერეული პოლიკლინიკა** **მის: ქ.ქუთაისი ნიკეას #46ბ;** **ს.ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"** **ანგარიშის № GE04VT0500000001413602** **ბ/კოდი: UGEBGE22** **ს/კოდი: 212670796**	**მიმწოდებელი** **შ.პ.ს. „რაპაკა"** **მის: ქ. ქუთაისი, წერეთლისა და ჯიბლაძის 35/2** **პროკრედიტ ბანკი** **ა/ა GE54PC0013600100045900** **ს/კ412704505**
დირექტორი	**დირექტორი**
---	---
ნინო ჩალაძე	**კახა გვეტაძე**

LTD KUTAISI N4 POLYCLINIC

Подписано цифровой подписью: LTD KUTAISI N4 POLYCLINIC
Дата: 2019.04.05 15:22:44 +04'00'

დანართი 1

საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთეულის ფასი	საქონლის ფასი	cpv კოდები
ბეჭდის მექანიკური კოლოფი	ცალი	1	15	15	30192155
ჯამი:				**15**	

შემსყიდველი
შპს ქუთაისის N4 შერეული პოლიკლინიკა
მის: ქ.ქუთაისი ნიკეას #46ბ;
ს.ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“
ანგარიშის № GE04VT0500000001413602
ბ/კოდი: UGEBGE22
ს/კოდი: 212670796

დირექტორი

ნინო ჩალაძე

მიმწოდებელი
შ.პ.ს. „რაპაკა“
მის: ქ. ქუთაისი, წერეთლისა და ჯიბლაძის 35/2
პროკრედიტ ბანკი
ა/ა GE54PC0013600100045900
ს/კ412704505

დირექტორი

კახა გვეტაძე

LTD KUTAISI N4 POLYCLINIC

Подписано цифровой подписью: LTD KUTAISI N4 POLYCLINIC
Дата: 2019.04.05 15:23:15 +04'00'